# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 1791 2020 წლის 16 სექტემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მიეცეს წინასწარი თანხმობა, CPV კოდის – 60400000 (საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები) ფარგლებში განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია